დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს პროფიუნიტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო თამაზაშვილი
წევრები:
ქეთევან ჭუჭულაშვილი
დავით კუპატაძე

ნაწილი I. შესავალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: - შპს პროფიუნიტი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: : შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 204436985

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

■ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 10 ოქტომბრის N1311726 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს კოლეჯ ,,პროფიუნიტში" და ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სამთო ტექნიკოსი" 31-ე მუხლის - 2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესრულების შემოწმება. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 22, 23 და 24 ოქტომბერს შპს კოლეჯ პროფიუნიტში (ქ. ჭიათურა, გ. თხელიძის ქ. №29).). ვიზიტი განხორციელდა გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა დაწესებულებაში არსებული მეთოდოლოგია და დანერგილი პრაქტიკა. ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
სამთო ტექნიკოსი	60	-	25	19

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სამთო ტექნიკოსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

III სტანდარტი

3.1.1 1. დაწესებულებას შემუშავებული და 2023 წლის 28 დეკემბრის დირექტორის N7/23 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა, მობილობის და აღდგენის“ წესი. აღნიშულ დოკუმენტში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სტატუსი შეიჩეროს 3 წლის ვადით, ხოლო შეწყვეტის ერთი-ერთ საფუძვლად ფიქსირდება სტატუსის შეჩერებიდან 3 წლიანი ვადის გასვლა. 2020 წლის 2 სექტემბრის დირექტორის N32/20 ბრძანებით დამტკიცებულია შპს ,,პროფიუნიტის“ შინაგანაწესი, სადაც პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადად განსაზღვრულია 1 წელი. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (2024 წლის 15 იანვრის N02/24) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადად განსაზღვრულია 3 წელი. როგორც ზემოაღნიშნულიდან იკვეთება, დაწესებულებას არ აქვს ასახული მარეგულირებელ დოკუმენტებში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის N198ნ ბრძანების ბოლო ცვლილება (13.12.2022). სადაც პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადად განსაზღვრულია 5 წელი. დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის პრაქტიკა, ყველა მათგანის საფუძველია პირადი განცხადება.

ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით, პროფესიული სტუდენტის უფლება არ იყო დაცული სტატუსის შეჩერების ვადასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებელი პირები და რესურსები. როგორც გეგმიდან ჩანს, დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა მარეგულირებელი დოკუმენტების გადამუშავებაზე. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 1 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილი შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

IV სტანდარტი

4.1.1 2. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით „პროფიუნიტის სტრუქტურის/პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები" განსაზღვრული საშტატო ერთეულები არ არის შესაბამისი დაწესებულების სტრუქტურაში მოცემული პოზიციებისა. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ადმინისტრაციული პოზიციებიდან გარკვეული ნაწილი იყო ვაკანტური. გარდა ამისა, ხელშეკრულებით არ იყო აყვანილი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი, ინფორმაციის ტექნოლოგიის სპეციალისტი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი. ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების მართვის კომპონენტი შეთავსებული აქვს მდივან ოპერატორს , რომელიც ასევე არის ბიბლიოთეკარი. დირექტორის მოადგილე არის ხარისხის მართვის მენეჯერი და 12 სექტემბრიდან მინდობილობით ასრულებს დირექტორის მოვალეობებს. ის ჩართულია ან/და ხელმომწერია ყველა მიმდინარე პროცესის, შესაბამისად დაწესებულებაში ვერ ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფა (ხარისხის მართვის კოორდინატორის პოზიცია ვაკანტურია აპრილის თვიდან). დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებით ირკვევა რომ დაწესებულებას გამოცხადებული აქვს კონკურსი ხარისხის მართვის კოორდინატორის პოზიციაზე, ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა გასაუბრებები შესაბამისი კანდიდატის შესარჩევად. დაწესებულებას გაწერილი აქვს პერსონალის მართვის რეგულაცია და პოლიტიკა (2020 წლის 27 აგვისტოს №23/20) სადაც პერსონალის მოზიდვის, აყვანისა და შემდგომ ადაპტაციაზე პასუხისმგებელია ყველა თანამშრომელი და უშუალო უფროსი. შესაბამისად ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი არ არის განსაზღვრული დაწესებულებაში. *შესაბამისად ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. როგორც გეგმიდან ჩანს, დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა. ვაკანტური ადგილების შესავსებად მიმდინარეობს კანდიდატთა შერჩევის პროცესი, მიმდინარეობს მუშაობა სამსახურეობრივი უფლება-მოვალეობების გამიჯვნაზე არსებული ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრისა და არსებულ შტატებზე დასაქმებულ პირთა ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 2,5 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.1. 3. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 2 მარტის N11/22 ბრძანებით დამტკიცებულია (უკანასკნელი ცვლილება განხორციელებულია 2023 წლის 31 ოქტომბრის N58/23) „პროფიუნიტის სტრუქტურის/ პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომლის მიხედვითაც ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის კოორდინატორი. ხარისხის მართვის მენეჯერი ამავდროულად არის დირექტორის მოადგილე, ხოლო ხარისხის მართვის კოორდინატორის პოზიცია ვაკანტურია აპრილის თვიდან. ხარისხის მართვის მენეჯერი არის დირექტორს მოადგილე და ამავდროულად 2024 წლის 12 სექტემბრიდან მინდობილობით ასრულებს დირექტორის მოვალეობას, შესაბამისად ჩართულია ან/და ხელმომწერია დაწესებულებაში ყველა მიმდინარე პროცესებში დაწესებულებაში ვიზიტის დროს გადამოწმდა არსებული პრაქტიკა, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში პროცესში მონაწილედ ფიგურირებს ხარისხის მართვის მენეჯერი, მაგალითად გამოცემულია დირექტორის 2022 წლის 15 მარტის N11/22 ბრძანება საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის თაობაზე, სადაც კომისიის თავმჯდომარეა დირექტორის მოადგილე/ხარისხის მართვის მენეჯერი ი.შ. დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებით ირკვევა რომ დაწესებულებას გამოცხადებული აქვს კონკურსი ხარისხის მართვის კოორდინატორის პოზიციაზე, ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა გასაუბრებები შესაბამისი კანდიდატის შესარჩევად. ზემოხსნებულის გათვალისიწინებით, დაწესებულებაში იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი, ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ჩართულია კოლეჯში მიმდინარე პროცესებში და შესაბამისად ვერ შეძლებს ობიექტურად შეაფასოს და შეიმუშაოს განვითარების რეკომენდაციები. *შესაბამისად ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. როგორც გეგმიდან ჩანს, დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა . მიმდინარეობს ხარისხის მართვის კოორდინატორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კანდიდატთა შერჩევის პროცესის ორგანიზება და ასევე, დაწესებულება აქტიურად მუშაობს დირექტორის მოადგილისა და ხარისხის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი უფლება-მოვალეობების გამიჯვნაზე არსებული ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

4.2.1 1. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №23/20, 27.08.2020წ. დამტკიცებულია „შპს პროფიუნიტის პერსონალის მართვის პოლიტიკა და რეგულაცია“, დოკუმენტის მერვე პუნქტით განსაზღვრულია პერსონალის საქმიანობის შეფასება, რომლის მიზანია პერსონალის კარიერული განვითარება, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება. ამისთვის დაწესებულება ახდენს პერსონალის კომპეტენციების შეფასებას ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლების ჩართულობით. დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები,

ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულებას ამ დრომდე პერსონალის საქმიანობის შეფასება არ განუხორციელებია. აგრეთვე არ ჩატარებულა პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი გამოკითხვა საჭიროებათა დადგენის მიზნით. *შესაბამისად ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: 1. არსებული კითხვარების ფორმების გადამუშავება/განახლება; 2. პერსონალის მართვის პოლიტიკისა და რეგულაციის შესაბამისად პერსონალის საქმიანობის შეფასების განხორციელება შესაბამისი კითხვარებით; 3.პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის გამოკითხვების ჩატარება წინასწარ შემუშავებული კითხვარებით საჭიროებათა დადგენის მიზნით. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

4.2.1 2. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები'', რომლის მიხედვითაც დაწესებულება პერიოდულად ახორციელებს პერსონალის საჭიროებების კვლევას და შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი განვითარების რეკომენდაციების შემუშავებას. დაწესებულებას ამ დრომდე არ განუხორციელებია პერსონალის საჭიროებების კვლევა, შესაბამისად არ აქვს შემუშავებული პერსონალის განვითარების გეგმა, თუმცა დაწესებულებაში ვიზიტისას პსდ-მ წარმოადგინა მტკიცებულებები პერსონალის სხვადასხვა ტრენინგებსა და ვორქშოპებში მონაწილეობის შესახებ. *შესაბამისად ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: 1. პერსონალის საჭიროების კვლევის ჩატარება; 2. კვლევის შედეგების ანალიზი; 3.პერსონალის განვითარების გეგმის შემუშავება. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V სტანდარტი

5.1.2.1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

დაწესებულებას აქვს შპს „საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრის“ მიერ გაცემული დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევისა და მდგრადობის დადგენის მიზნით, რომლითაც ირკვევა კოლეჯის შენობა მდგრადია და აკმაყოფილებს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს. ამავე დროს დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2020 წლის 28 ოქტომბრის №2549373 და სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ობიექტის, სახანძრო - ტექნიკური შემოწმებების აქტი №93 (28.10.2020წ.), საიდანაც ირკვევა, რომ კოლეჯის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. შენობა 4 სართულიანია და მხოლოდ 2 სართული შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს. *შესაბამისად ,ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის ხელახალი შემოწმებ და შემოწმების შედეგების მიხედვით შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ღონისძიებების დაგეგმვა. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 18 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

5.1.2 2.დაწესებულებას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ (ბრძანება №27/20, 31.08.2020წ) აღნიშნული წესის მეხუთე პუნქტით განსაზღვრულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარი, რომლებიც მათთვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილზე ინახება. თუმცა კოლეჯს უკვე რამდენიმე თვეა აღარ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირთან, შესაბამისად, დაწესებულებაში არ მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. *შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: ექთნის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად შერჩევის პროცესის ორგანიზება; ექთანთან ხელშეკრულების გაფორმება, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმის ამოქმედება დაწესებულების მიერ გაწერილი პროცედურების შესაბამისად. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 2 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

5.1.2.3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 36/20, 09.10.2020წ, საადაც გაწერილია საგანგებო სიტუაციების მართვის და შტაბის წევრთა ფუნქციური მოვალეობები, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის შეტყობინებების სქემა. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, ნაცვლად კომპეტენტური ორგანოსი/ პირისა. *შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: კომპეტენტური/ შესაბამისი სანებართვო პირობების მქონე ორგანიზაციის მოძიება და შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება. ასევე, აღნიშნული გეგმის შეთანხმება კომპეტენტურ დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 12 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

5.2.1 2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
დაწესებულებას საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის მიზნით შემუშავებული აქვს დოკუმენტი „IT რისკების მართვა, საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის პოლიტიკა" დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

№29/20, 01.09.2020წ. თუმცა დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდამდე არ იყო დასაქმებული IT რისკების მართვაზე პასუხისმგებელი პირი. მასთან ხელშეკრულება გაფორმდა 2024 წლის 1 ოქტომბრიდან, ამდენად, ზემოაღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული პროცესები პრაქტიკაში არ განხორციელებულა. *შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია, რომ დაწესებულებამ უნდა განახორციელოს შემუშავებული IT რისკების მართვის, საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის პოლიტიკით განსაზღვრული პროცესები. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

5.2.1 3.კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 6 მაისის №08/21 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი“, რომელიც შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მისი მიზანი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას მათი დაცვაა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დაადგინა, რომ კოლეჯში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც, თუმცა დაწესებულებას არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (ძალაშია 2024 წლის 1 მარტიდან), აუცილებელია, რომ ჰყავდეს. *შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია, რომ დაწესებულებამ უნდა განახორციელოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მომსახურებისათვის აუთსორსული მომსახურების განმახორციელებელი ორგანიზაციის მოძიება და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

5.2.1 4. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 31 აგვისტოს №25/20 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები“ (ცვლილება: კოლეჯის დირექტორის ბრძანება №09/24; 05.03.2024წ.), რომლის შესაბამისადაც, კოლეჯი უზრუნველყოფს ადამიანური, საინფორმაციო, ფინანსური და მატერიალური რესურსების შეფასებას და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკას, წესებს, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა რეგულაცია ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვებს. გამოკითხვების ფორმები მოიცავს შესაბამის შეკითხვებს IT რესურსების საკმარისობის და რელევანტურობის შესახებ. თუმცა დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდამდე არ იყო დასაქმებული IT სპეციალისტი. მასთან ხელშეკრულება გაფორმდა 2024 წლის 1 ოქტომბრიდან, ამდენად, IT ტექნიკის, პროცესების გამართულობა პრაქტიკაში ექპერტთა ვიზიტამდე არ განხორციელებულა. *შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია, რომ დაწესებულებამ უნდა განახორციელოს პრობლემური ტექნიკის და პროცესების იდენტიფიცირება, სისტემური პროცესების პრობლემების იდენტიფიცირება, ტექნიკური და სისტემური გამართულობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების განხორციელება. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 4 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

5.3.1 1.კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, დაწესებულების შემოსავლები უზრუნველყოფილია ვაუჩერული დაფინანსებით და საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურით. დაწესებულება ახორციელდებს 3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ასევე მოკლევადიანი მომზადების/გადამზადების პროგრამებს სამთო მიმართულებით. აღნიშნული პროგრამების დასახელებულია პრიორიტეტულად და სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. გარდა ამისა, დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის დადგენილი აქვს დამატებითი საფასური. ის პროფესიული სტუდენტები, რომლებიც დასაქმებულნი არიან ,,გორგიან მანგანეზში“ ფინანსდებიან კომპანიის მიერ .სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშიდან ჩანს, რომ დაწესებულებას აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსი სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების განსახორციელებლად, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს კოლეჯის ყოფილ ბუღალტერთან, რომელსაც წვდომა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჰქონდა კოლეჯის საბუღალტრო პროგრამასთან, კომუნიკაცია ვერ მოხერხდა, ვერ იქნა წარმოდგენილი დაწესებულების საფინანსო დოკუმენტაცია. ამდენად, ექსპერტები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, შეესწავლათ დაწესებულების ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა. *შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია, რომ კოლეჯში მიმდინარე წლის 23 სექტემბრიდან დასაქმებულმა ბუღალტერმა შეადგინოს დაწესებულების ბიუჯეტი, რითაც დადასტურდება დაწესებულების ფინანსური მდგრადობა. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

5.3.1. 2. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, დაწესებულების შემოსავლები უზრუნველყოფილია ვაუჩერული დაფინანსებით და საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურით. დაწესებულება ახორციელდებს 3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ასევე მოკლევადიანი მომზადების/გადამზადების პროგრამებს სამთო მიმართულებით. აღნიშნული პროგრამების დასახელებულია პრიორიტეტულად და სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. გარდა ამისა, დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის დადგენილი აქვს დამატებითი საფასური. ის პროფესიული სტუდენტები, რომლებიც დასაქმებულნი არიან „გორგიან მანგანეზში“ ფინანსდებიან კომპანიის მიერ. სავარაუდოა, რომ საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. ვიზიტის დროს, დაწესებულებას 1 თვის წინ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება ბუღალტერთან, რომელსაც არ ჰქონდა წვდომა საბუღალტრო დოკუმენტაციასთან და შესაბამის პროგრამასთან შესაბაისად საფინანსო დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი, ექსპერტები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, შეესწავლათ დაწესებულების ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა. *შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია, რომ კოლეჯში მიმდინარე წლის 23 სექტემბრიდან დასაქმებულმა ბუღალტერმა შეადგინოს დაწესებულების ბიუჯეტი, რითაც დადასტურდება დაწესებულების ფინანსური მდგრადობა. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.3.1. 3. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა ფინანსური დოკუმენტაცია, ***ამდენად, ექსპერტები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, შეესწავლათ დაწესებულების ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა და მისი შეფასება. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია, რომ უნდა მოხდეს არსებული საბუღალტრო დოკუმენტაციის შეგროვება, აკუმულირება. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 6 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.***

II სტანდარტი

2.4.2 . 1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. მე-4 მუხლში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტში სავალდებულო ინფორმაცია და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები. დაწესებულების მხრიდან არასწორად არის გაგებული შეფასების პროცესის ადმინისტრირება, როგორც ტერმინები, ასევე პროცესი. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა არ ითვალისწინებს ვალიდაციას. მეთოდოლოგიაში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, ნაცვლად ვალიდაციისა. ვალიდატორის ნაცვლად ფიქსირდება ვერიფიკატორი.
გარდა ამისა, იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. შეფასების ინსტრუმენტს ითანხმებს ხარისხის მართვის მენეჯერი. დაწესბულებაში ვიზიტისას გადამოწმდა შეფასების ინსტურმენტები და მტკიცებულებები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არც ერთი შეფასების ინსტრუმენტი არ არის ვალიდური, შიდა დარგის ვერიფიკატორად განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელი. შეფასების ინსტრუმენტში არ არის შეფასების შედეგებისათვის გამოყოფილი გრაფა. შეფასების მტკიცებულებების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებები თეორიული კომპონენტის შემთხვევაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ტესტების სახით შეფასების ინსტრუმენტის ფორმის გარეშე. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში ვიზიტისას არსებული შეფასების სისტემა არ იყო ვალიდური. შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.** ***შესაბამისად, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: 1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გათვალისწინებულ შეფასების პროცესში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება; 2. შეფასების პროცესის სწორად ადმინისტრირება; 3.შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია; 4. ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება შეფასების პროცესში;***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.შეფასების ინსტრუმენტის გადამუშავება; 6. შეფასების ინსტრუმენტის შეთანხმების პროცესში არსებული ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრა. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 1 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2.4.2 2. დაწესებულების „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციების" მიხედვით გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია. ვერიფიკაციის პროცესს წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები საჭიროების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, რომლის მიხედვითაც კოლეჯი ვერიფიკაციას უნდა ახორციელებდეს სამი მიმართულებით - შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. აღნიშნულ წესში ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 2024 წლის 5 მარტის N09/24 ბრძანებით, სადაც ვერიფიკაციის პროცესი გაწერილია სწორად, თუმცა დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა ხარისხის მართვის მენეჯერის 2024 წლის ვერიფიკაციის დასკვნა, სადაც მოკლედ, ნარატიულად არის აღწერილი რომ შეფასება ჩატარდა განსაზღვრულ დროს, მოხდა პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება, წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი იყო შესაფასებლად. დაწესებულების მიერ ჩატარებული ვერიფიკაცია არ არის შესაბამისობაში კოლეჯის მიერ გაწერილ მეთოდოლოგიასთან. ვერიფიკაციის პროცესის მომზადებისას არ არის გაწერილი გეგმა, თითოეული პროგრამის ფარგლებში შერჩეულია ერთი მოდული, თუმცა არ არის განსაზღვრული რისკ ფაქტორები რის მიხედვით შეირჩა აღნიშნული მოდულები. ვერიფიკაციის დასკვნა არ მოიცავს შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციას. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში ვიზიტისას ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.** *დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: 1. ვერიფიკაციის განხორციელება დაწესებულებაში არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად; 2. ვერიფიკაციის პროცესის მომზადების გეგმის შედგენა; 3.მოდულის შერჩევისას რისკ ფაქტორების გათვალისწინება; 4. ვერიფიკაციის დასკვნის სრულყოფა. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 1 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

I სტანდარტი

1.1 მე-3 ინდიკატორი - კოლეჯის მისიიდან გამომდინარეობს ხედვა და ღირებულებები, თუმცა დაწესებულების ხედვაში არ იკვეთება რა დროში აპირებს ის დასახული მიზნის მიღწევას, პსდ-ს სტრატეგიულ გეგმაში მითითებულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ვადა თუმცა მნიშვნელოვანია, ხედვაშიც ფიქსირდებოდეს კონკრეტული დრო, ამიტომ **დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია განახორციელოს ცვლილება ხედვაში და განსაზღვროს შესრულების დრო.**

1.2.1. მე-3 ინდიკატორი - დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია ზოგიერთი ამოცანა და აქტივობა, რომელიც დაწესებულების ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია და არა მიზნის მიღწევისთვის საჭირო ინსტრუმენტი, მაგალითად ,,სასწავლო პროცესის ხელშეწყობა", პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა", ასევე სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული მიზნისა და ამოცანის შესრულების ვადად განსაზღვრულია - ,,წლის განმავლობაში საჭიროების მიხედვით", აღნიშნულის მიხედვით დაწესებულებისთვის რთულია სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიშის შედგენისას განსაზღვროს რა უნდა შესრულებულიყო კონკრეტული დროისთვის. რა შესრულდა და რომელი ამოცანის შესრულება გადავადდა წლის ბოლომდე. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს და განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები.**

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

IV სტანდარტი

4.1.2 2. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №23/20, 27.08.2020წ. დამტკიცებულია „შპს პროფიუნიტის პერსონალის მართვის პოლიტიკა და რეგულაცია", ასევე შპს პროფეიუნიტის შინაგანაწესი, რომლითაც განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულების დადებისას წარსადგენი დოკუმენტები და პირობები. დამსაქმებლის გადაწყვეტილებით კანდიდატთა დასაქმება და მათთან შრომითი ხელშეკრულების დადება ხდება გასაუბრებით, ასევე შესაძლებელია კონკურსის წესით მიღება, რომლის დროსაც შექმნილი საკონკურსო კომისია კონკურსის პროცესს წარმართავს ობიექტურად, გამჭვირვალედ და სამართლიანად. დაწესებულის პრაქტიკა გულისხმობს პერსონალის მიღებას მხოლოდ გასაუბრების საფუძველზე. აღნიშნულ ორ დოკუმენტში დუბლირებულია პერსონალის მიღების, ხელშეკრულების გაფორმების, წარმოსადგენი დოკუმენტაციის, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურები.

დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, მოახდინოს აღნიშნული პროცესების კონსოლიდირება ერთ დოკუმენტში.

V სტანდარტი

5.2.3.1. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია, დაწესებულების საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტები, ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ და ა.შ. ვებგვერდს, ისევე, როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების ფეისბუქ გვერდს, გააჩნია როგორც საინფორმაციო, ასევე საკომუნიკაციო ფუნქცია. ვებგვერდის მართვა დირექტორის ბრძანებით დავალებული აქვს მდივან-რეფერენტს. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის ნაწილი გასაახლებელია, მაგალითად, მარეგულირებელი აქტები. **ამდენად, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, პერიოდულად განაახლოს ვებგვერდზე არსებული სიახლეები და მარეგულირებელი დოკუმენტები.**

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა ხარვეზები მე -2, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტთან მიმართებით. შესაბამისად ასახა დასკვნის პროექტში ის ინდიკატორები, რომელებიც არ იყო შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. დაწესებულებამ წარმოდგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის გეგმის დამტკიცების ბრძანება და შესაბამისობის გეგმა. კორესპონდენციაში ვკითხულობთ, რომ შპს კოლეჯი ,,პროფიუნიტი“ სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას და იდენტიფიცირებული შეუსაბამობების არმოსაფხვრელად წარმოადგინა შპს ,,პროფიუნიტის“ დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული გეგმა, შეაფასა გეგმაში მოცემული აქტივობების, ვადებისა და რესურსების რელევანტურობა იდენტიფიცირებულ ხარვეზებთან. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და თვლის რომ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნყელყოფის გეგმით აღმოიფხვრება ზემოაღნიშნული შეუსაბამობები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში მოცემული ხარვეზები მოდიფიცირდა და ჩამოყალიბდა სტანდარტთა შესაბამისობის რეკომენდაციებად.
დეტალური ანალიზი მოცემულია დასკვნაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

კოლეჯის მისიაა - ,,პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული პროფესიონალური კადრების მომზადება ქვეყნის სამთო წარმოების სფეროს შრომის ბაზრის ცვალებადი, კონკურენტუნარიანი და განვითარებაზე ორიენტირებული მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით“ კოლეჯის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს და პასუხობს ისეთ საკვანძო კითხვებს როგორიცაა: რისთვის არსებობს ორგანიზაცია, ვინ არის მომხმარებელი და რომელი კონკრეტული საჭიროების დაკმაყოფილებას ცდილობს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;

დაწესებულების მისიით განსაზღვრულია საქმიანობის ძირითადი მიმართულება (პროფილი) - პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული პროფესიონალური კადრების მომზადება ქვეყნის სამთო წარმოების სფეროში, რაც განასხვავებს მას სხვა პსდ-გან.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

დაწესებულების ხედვაა : ,,კოლეჯში მიღებული განათლების ხარისხი სრულად პასუხობდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სწავლებისა და მომსახურების მაღალი ხარისხით, პროფესიონალი მასწავლებლებით, მოტივირებული სტუდენტებით, წარმატებული პრაქტიკოსი კურსდამთავრებულებითა და პარტნიორებით ერთ ერთი წამყვანი მონოპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება გახდეს ქვეყნის ეკონომიკაში სამთო წარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.
დაწესებულების ღირებულებებია:

- პროფესიონალიზმი;
- გუნდური მუშაობა;
- გამჭვირვალობა;
- შრომის ბაზარზე ორიენტაცია;
- ინოვაციისკენ სწრაფვა და მათი დანერგვის მუდმივი მზაობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მისიიდან გამომდინარეობს ხედვა და ღირებულებები, თუმცა დაწესებულების ხედვაში არ იკვეთება რა დროში აპირებს ის დასახული მიზნის მიღწევას, პსდ-ს სტრატეგიულ გეგმაში მითითებულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ვადა თუმცა მნიშვნელოვანია, ხედვაშიც ფიქსირდებოდეს კონკრეტული დრო, ამიტომ **დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია განახორციელოს ცვლილება ხედვაში და განსაზღვროს შესრულების დრო.**

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე, შპს „პროფიუნიტი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულების განვითარების გრძელვადიან (შვიდწლიან) სამოქმედო გეგმაში (2022-2029წ.წ.), ასევე დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციას, პროგრამის განმახორციელებელ პირებსა და კურსდამთავრებულებს, ასევე პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლებს. ისინი იცნობენ და იზიარებენ დაწესებულების მისიას, ხედვას და ღირებულებებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია კოლეჯის ვებ გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 29 დეკემბრის №71/22 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 იანვრის №08/20 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები და დაგეგმვის პროცესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენასთან და დამტკიცებასთან დაკავშირებული პროცედურები, გეგმების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი, ანგარიშების წარდგენა და ცვლილებების მომზადების ეტაპები. საწყის ეტაპზე დაწესებულება აკეთებს არსებული მდგომარეობის ანალიზს. ხედვისა და მისიის განსაზღვრა, არსებული ვითარების ანალიზი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მომზადება, განხორციელება, გეგმის მონიტორინგი და შეფასება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში დაწესებულება იყენებს SWOT ანალიზს, რაც გულისხმობს კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გაანალიზებას. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცედურებია: სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება; სტრატეგიული დოკუმენტების პროექტების გაზიარება დაინტერესებული მხარეების ვიწრო წრისთვის; დაინტერესებული მხარეების ვიწრო წრისგან მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საბოლოო სახით ფორმირება და კოლეჯის დირექტორისთვის მიწოდება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება და გაზიარება დაინტერესებული მხარეების ფართო წრისთვის. კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმვა ციკლური ხასიათისაა, გათვლილია 7 წლიან პერიოდზე და ითვალისწინებს სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის საჭირო ამოცანებს, განხორციელების ვადებს (წლების ჭრილში) და შესრულების ინდიკატორებს, რომელთა საშუალებითაც მოხდება მასში მოცემული მიზნების მიღწევის შეფასება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით პსდ-ს დირექტორის მიერ შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაში შედიან კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები. საწყის ეტაპზე დაწესებულება აკეთებს არსებული მდგომარეობის ანალიზს. ხედვისა და მისიის განსაზღვრა, არსებული ვითარების ანალიზი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მომზადება, განხორციელება, გეგმის მონიტორინგი და შეფასება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში დაწესებულება იყენებს SWOT ანალიზს, რაც გულისხმობს კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გაანალიზებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ისინი იცნობენ და იზიარებენ კოლეჯის სტრატეგიულ გეგმას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის 29 დეკემბრის N 71/22 ბრძანებით. სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია 7 სტრატეგიული მიზანი, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს ამოცანებს, განსახორციელებელ პერიოდს, შესრულების ინდიკატორებს და პასუხისმგებელ პირებს. სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარეობს 1 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 28 დეკემბრის N75/23 ბრძანებით. მასში გაწერილია მიზნები, ამოცანები, აქტივობები, შესრულების ინდიკატორი, ფინანსური და მატერიალური რესურსი, განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები.

დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია ზოგიერთი ამოცანა და აქტივობა რომელიც დაწესებულების ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია და არა მიზნის მიღწევისთვის საჭირო ინსტრუმენტი, მაგალითად ,,სასწავლო პროცესის ხელშეწყობა“, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა“, ასევე სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული მიზნისა და ამოცანის შესრულების ვადად განსაზღვრულია, წლის განმავლობაში საჭიროების მიხედვით“, აღნიშნულის მიხედვით დაწესებულებისთვის რთულია სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიშის შედგენისას განსაზღვროს რა უნდა შესრულებულიყო კონკრეტული დროისთვის. რა შესრულდა და რომელი ამოცანის შესრულება გადავადდა წლის ბოლომდე. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს და განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები.**

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, (დირექტორის 2022 წლის 29 დეკემბრის N 71/22 დიბრძანება)
- სამოქმედო გეგმა (დირექტორის 2023 წლის 28 დეკემბრის N75/23 ბრძანება)
- სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია (2020 წლის 20 იანვრის №08/20 ბრძანება);
- ინტერვიუს შედეგები.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“, სადაც მოცემული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები. მონიტორინგის და შეფასების პროცესს კოლეჯი სამ ეტაპად ახორციელებს: 1 მონაცემთა შეგროვება - მონაცემთა შეგროვების სტადიაზე, შემფასებელი/მონიტორინგის განმახორციელებელი პირი აგროვებს იმ დოკუმენტებს/ინფორმაციას, რომელიც მითითებულია გეგმაში კონკრეტული ამოცანის/აქტივობის შესრულების ინდიკატორის გრაფაში. 2 შეგროვებული მონაცემების ანალიზი - ამ დროს ხდება პირველ ეტაპზე შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი შესრულების ინდიკატორთან მიმართებაში. 3. მიღებულ შედეგებზე რეაგირების მოხდენა. დაწესებულება სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს ახდენს 2 წელიწადში ერთხელ ხოლო სამოქმედო გეგმის წელიწადში ორჯერ. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტებს წარედგინა 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, სადაც მითითებულია შესრულები ინდიკატორი, დახარჯული ფინანსური რესურსი, განხორციელებული აქტივობა და შესრულების პერიოდი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

შპს „პროფიუნიტის“ დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანება№08/20, 20.01.2020წ.) სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად მონიტორინგის შედეგებზე დაწესებულება მოახდენს შესაბამის რეაგირებას, მაგ. დააკორექტირებს გეგმას, დააზუსტებს ჩანაწერებს, დააკორექტირებს აქტივობის შესრულების ვადებს, ამოიღებს ან დაამატებს აქტივობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და სხვ. ყველა სავარაუდო განსახორციელებელი ცვლილება საბოლოოდ მტკიცდება დაწესებულების დირექტორის მიერ. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში არ იკვეთება რეაგირების საჭიროება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დაწესებულების საიტზე განთავსებული და საჯაროდ ხელმისაწვდომია კოლეჯის სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა და შესრულების ანგარიშები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *შპს „პროფიუნიტის“ დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანება№08/20, 20.01.2020წ.) სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა*
- *და შეფასების მეთოდოლოგია;*
- *დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) გეგმა;*
- *დაწესებულების ერთწლიანი (2023-2024) სამოქმედო გეგმა;*
- *დაწესებულების სამოქმედო გეგმის (2022-2023 წ.) შესრულების ანგარიში;*
- *დაწესებულების ვებ გვერდი;*
- *გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია(ბრძანება №30/20, 01.09.2020წ.) უკანასკნელი ცვლილება განხორციელებულია 2021 წლის 5 მაისის N05/21 ბრძანებით. „პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები“ სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის უფლებები - მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება, დააფუძნოს პროფესიული და სხვა ორგანიზაციები, ან გაერთიანდეს მასში, დაცული იყოს არასათანადო მოპყრობისაგან, ჩაერთოს დაწესებულების სტრატეგიული გეგმის შედგენა-შემუშავების პროცესში, დადგენილი წესით ისარგებლოს მობილობის უფლებით, წინასწარ გაეცნოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, შეფასების სისტემებს და შედეგებს, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობითა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, ვალდებულებები - არასაპატიო მიზეზით დაგვიანება/გაცდენა, არ დააზიანოს დაწესებულების ქონება, დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის უსაფრთხოების წესები, მათთან ხელშეკრულების გაფორმების თავისებურებები - საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების პირობები, დაწესებულებისა და ვალდებულებები, სწავლის საფასური და ანგარიშსწორების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სადაო საკითხების გადაწყვეტის წესი, კონფიდენციალობა და გამოხატვის თავისუფლება.

დაწესებულებას შემუშავებული და 2023 წლის 28 დეკემბრის დირექტორის N7/23 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა, მობილობის და აღდგენის“ წესი. აღნიშულ დოკუმენტში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სტატუსი შეიჩეროს 3 წლის ვადით, ხოლო შეწყვეტის ერთი-ერთ საფუძვლად ფიქსირდება სტატუსის შეჩერებიდან 3 წლიანი ვადის გასვლა. 2020 წლის 2 სექტემბრის დირექტორის N32/20 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „პროფიუნიტის“ შინაგანაწესი, სადაც პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადად განსაზღვრულია 1 წელი. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (2024 წლის 15 იანვრის N02/24) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადად განსაზღვრულია 3 წელი. როგორც ზემოაღნიშნულიდან იკვეთება, დაწესებულებას არ აქვს ასახული მარეგულირებელ დოკუმენტებში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის N198ნ ბრძანების ბოლო ცვლილება (13.12.2022). სადაც პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადად განსაზღვრულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5 წელი. დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის პრაქტიკა, ყველა მათგანის საფუძველია პირადი განცხადება.

ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით, პროფესიული სტუდენტის უფლება არ იყო დაცული სტატუსის შეჩერების ვადასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. როგორც გეგმიდან ჩანს, დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა მარეგულირებელი დოკუმენტების გადამუშავებაზე. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 1 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

პროფესიული სტუდენტებისთვის მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებლები არიან დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში და სასწავლო პროცესებისა და პროგრამების კოორდინატორი. აღნიშნული პასუხისმგებლობა გაწერილია მათ სამსახურეობრივ აღწერილობაში. სტუდენტების მიერ მათ უფლებების გაცნობის ფაქტი დასტურდება სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებითაც. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით სტუდენტი ადასტურებს, კოლეჯის „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შინაგანაწესისა" და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" გაცნობის ფაქტს. აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული გადაამოწმა პროფესიულ კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას. მათ დაადასტურეს საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და ინფორმაციის მიღების ფაქტი. ასევე აღნიშნეს, რომ იციან საკუთარი უფლებები, რომლებსაც საჭიროებისამებრ იყენებენ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მარეგულირებელი დოკუმენტი „სტუდენტთა ცოდნის და უნარების შეფასების სისტემა მოდულური პროგრამებისათვის" (დირექტორის ბრძანება №22.20, 27.08.2020წ. უკანასკნელი ცვლილება- 2021 წლის 04.05. N04/21), რომელშიც მოცემულია შეფასების სისტემა, ტიპები და მიმართულებები, შეფასების შედეგებზე სტუდენტების ინფორმირება, შეფასების პრინციპები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაჩივრების წესი, მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესი და სხვა. დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტები მუდმივად იღებენ მხარდაჭერას დაწესებულების წარმომადგენლებისგან შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კურსდამთავრებულებს, რომლებმაც დაადასტურეს რომ ინფორმირებული იყვნენ შეფასების სისტემის შესახებ, დაწესებულებაში აპელაციის პრეცენდენტი არ დაფიქსირებულა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, „სამთო ტექნიკოსი“ ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი წინააღმდეგობაში არ არის მოქმედ კანონმდებლობასა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ დებულებებთან. ამასთან, დაცულია არასრულწლოვან პირებთან სწავლის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,

ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია (ბრძანება №43/18, 09.10.2018წ.) „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა პროფესიულ სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება მოდულის მიხედვით, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის, აგრეთვე მობილობის წესით გადმოსული და სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტებისათვის, თავსებადი სწავლის შედეგების აღიარებისა და მიღწევისათვის. აღნიშნული გეგმის შემუშავების პროცესი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის თანამონაწილეობას ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში, რათა მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნას მისი ინტერესები. როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა ინდ, გეგმის შედგენის საჭიროება არ დამდგარა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა, მობილობის და აღდგენის“ წესი;
- სტუდენტთა ცოდნის და უნარების შეფასების სისტემა მოდულური პროგრამებისათვის;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- დაწესებულების შინაგანაწესი;
- პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

პროფესიული სტუდენტები კოლეჯის მხრიდან მხარდაჭერას იღებენ კონსულტირების მათ საჭიროებებზე მყისიერი რეაგირების გზით. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში და პროფესიულ სტუდენტებთან უწყვეტი კომუნიკაციის გზით უწევენ შესაბამის კონსულტირებას. კოლეჯის პრაქტიკის კოორდინატორი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა განაწილებას პრაქტიკის ობიექტებზე და უზრუნველყოფს მათ ადაპტაციას ახალ გარემოში. პროფესიულ სტუდენტებს სწავლის შედეგების მიღწევების შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტირებას უწევს სასწავლო პროცესის

მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს კოლეჯის პერსონალის მხარდაჭერა და ხელშეწყობა. კოლეჯში მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, სადაც უფლებამოსილნი არიან დააფიქსირონ საკუთარი აზრი. ინტერვიუირებისას კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ადმინისტრაციულ საჭიროებებზე უმეტესწილად მიმართავენ სასწავლო პროცესებისა და პროგრამების კოორდინატორს და დირექტორის მოადგილეს

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

კოლეჯში სასწავლო პროცესის დაწყებისას, კოლეჯის ადმინისტრაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლები ხვდებიან ახლად ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს და აცნობენ მათ კოლეჯის შიდა მარეგულირებელ აქტებს, ქცევის ნორმებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თავისებურებებს, კოლეჯის მისიას, ხედვას და სხვ. პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა განაწილებისას, მათ უტარდებათ ინსტრუქტაჟი, განემარტებათ პრაქტიკის ობიექტზე ქცევისა და უსაფრთხოების წესები და სხვ. ზემოაღნიშნულის დასტურად, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შესაბამისი აქტივობების ჩატარების დამადასტურებელი მტკიცებულებები და ფოტომასალა, რომელიც განთავსებული იყო კოლეჯის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროგრამის ხელმძღვანელის და კურსდამთავრებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 12 იანვრის N001/24 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესის“ მიხედვით, დაწესებულებაში მიღებულ განცხადება/წერილზე პასუხი გაიცემა ბეჭდური ფორმით ან/და ელექტრონულად. კოლეჯის მიერ დოკუმენტების/კორესპონდენციაზე პასუხების გაცემის პრაქტიკის შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის საქმისწარმოებისა და შერჩევითი წესით გადამოწმდა კორესპონდენციის ორგანიზების პრაქტიკა. შესწავლით დადგინდა, რომ დაწესებულება არ არღვევს დოკუმენტების გაცემის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;

2021 წლის 21 მაისის კოლეჯის დირექტორის N05/21 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები“, რომელიც მოიცავს პროფესიული დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივის/ აქტივობის მხარდაჭერას. დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიულ სტუდენტთა წახალისების პრაქტიკა. მაგ: 11.ივნისის N27-24 ბრძანება პროფესიულ სტუდენტთათვის ინტელექტუალური ვიქტორინის ჩატარების შესახებ. ვიქტორინაში მონაწილე პროფესიული სტუდენტები დაჯილდოვდნენ ექსკურსიით რაჭაში. სასწავლო ექსკურსია შპს საქნახშირის“ ტყიბულის შახტაში (11.06.2024 N26/24); სასწავლო ექსკურსია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში (17.06.2024 N30/24) და ა.შ

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 15 იანვრის N001/24 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები“. აღნიშნული ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის საჭიროების და კმაყოფილების კვლევას, რომლის მიზანია სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება. პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა ტარდება წელიწადში მინიმუმ ერთხელ. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეისწავლეს ჩატარებული პროფესიული სტუდენტების საჭიროების და კმაყოფილების კვლევები, სადაც პროფესიული სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სერვისებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები;
- საქმისწარმოების წესი;
- დირექტორის ბრძანებები პროფესიულ სტუდენტთა წახალისების შესახებ;
- გასაუბრების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები;
- კმაყოფილების კვლევის შედეგები.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.

2021 წლის 21 მაისის კოლეჯის დირექტორის N05/21 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები“ აღნიშნული წესის მე-14 მუხლი სრულად ეთმობა კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებებს. პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დაწესებულება სწავლის ყველა ეტაპზე ხელს უწყობს დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარ ჩვევების განვითარებაში; სტუდენტებს ეხმარება რეზიუმესა და სამოტივაციო წერილების შექმნაში; იძიებს და სისტემატურად ამუშავებს დამსაქმებელთა ბაზებს; ეხმარება სტუდენტებს დამსაქმებელთან თემატური შეხვედრების ორგანიზებაში; ქმნის სამუშაოს მაძიებელ პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ბაზებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

დაწესებულებაში არსებული კარიერული მხარდაჭერის მომსახურების ძირითად მიზანს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტების დასაქმება, ამ მიზნით დაწესებულება სწავლის ყველა ეტაპზე ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტებს დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში, იძიებს და სისტემატურად ამუშავებს დამსაქმებელთა ბაზებს, მათ მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებს. ქმნის სამუშაოს მაძიებელ პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ბაზებს, ეხმარება პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დამსაქმებლებთან ურთიერთობაში, თემატური შეხვედრების ორგანიზების მხრივ. ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი და მიღებული წერილები პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების თაობაზე, კოლეჯი დამსაქმებელ კომპანიას წარუდგენს დასაქმების მსურველთა სიას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან მიმართებაში, დაწესებულებამ წარმოადგინა 2022 წლის, როგორც პროფესიულ სტუდენტთა ასევე კურსდამთავრებულთა კვლევები, რომელთა ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა კურსდამთავრებულთა სწავლის დასრულების შემდგომ საქმიანობასთან დაკავშირებით (დასაქმება /თვითდასაქმება /სტაჟირება/ სწავლის გაგრძელება და სწავლის დასრულების შემდგომი სხვა საქმიანობა) ინფორმაციის შეგროვება, დაუსაქმებლობის შემთხვევაში, უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირი და ა.შ. კვლევებში მოცემული ინფორმაციის თანახმად, გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიშში არ ფიქსირდება გაუმჯობესების რეკომენდაციები, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 89 კურსდამთავრებულმა სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. დასაქმების საერთო მაჩვენებელი 56-60% მდე მერყეობს.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები;
- კვლევის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

დაწესებულებაში პერსონალის პუნქცია მოვალეობები განსაზღვრულია 2022 წლის 2 მარტის N 22/11 ბრძანებით (უკანასკნელი ცვლილება განხორციელებულია 2023 წლის 31 ოქტომბრის დირექტორის N58/21 ბრძანებით) შპს ,,პროფიუნიტის სტრუქტურის/ პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. დოკუმენტში გაწერილია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები. მათი ფუნქცია-მოვალეობები ასევე დაზუსტებულია გაფორმებულ ხელშეკრულებებში. დაწესებულებას ხელმძღვანელობს დირექტორი. დაწესებულების სტრუქტურული/საშტატო ერთეულებია: დირექტორის მოადგილე/ხარისხის მართვის მენეჯერი; ადმინისტრატორი; სასწავლო პროცესისა და პროგრამების კოორდინატორი; ხარისხის მართვის კოორდინატორი; ბუღალტერი, იურისტი, მდივან ოპერატორი, სპეციალისტი- საქმის მწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, რეესტრის სამსახურის კოორდინატორი, პრაქტიკის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, დამხმარე პერსონალი.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ისინი იცნობენ საკუთარ ფუნქცია მოვალეობებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით ,,პროფიუნიტის სტრუქტურის/ პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ განსაზღვრული საშტატო ერთეულები არ არის შესაბამისი დაწესებულების სტრუქტურაში მოცემული პოზიციებისა. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ადმინისტრაციული პერსონალიდან გარკვეული ნაწილი იყო ვაკანტური. გარდა ამისა, ხელშეკრულებით არ იყო აყვანილი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი, ინფორმაციის ტექნოლოგიის სპეციალისტი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი. ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების მართვის კომპონენტი შეთავსებული აქვს მდივან ოპერატორს , რომელიც ასევე არის ბიბლიოთეკარი. დირექტორის მოადგილე არის ხარისხის მართვის მენეჯერი და 12 სექტემბრიდან მინდობილობით ასრულებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის მოვალეობებს. ის ჩართულია ან/და ხელმომწერია ყველა მიმდინარე პროცესის, შესაბამისად დაწესებულებაში ვერ ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფა (ხარისხის მართვის კოორდინატორის პოზიცია ვაკანტურია აპრილის თვიდან). დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებით ირკვევა რომ დაწესებულებას გამოცხადებული აქვს კონკურსი ხარისხის მართვის კოორდინატორის პოზიციაზე, ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა გასაუბრებები შესაბამისი კანდიდატის შესარჩევად. დაწესებულებას გაწერილი აქვს პერსონალის მართვის რეგულაცია და პოლიტიკა (2020 წლის 27 აგვისტოს №23/20) სადაც პერსონალის მოზიდვის, აყვანისა და შემდგომ ადაპტაციაზე პასუხისმგებელია ყველა თანამშრომელი და უშუალო უფროსი. შესაბამისად ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი არ არის განსაზღვრული დაწესებულებაში. ***შესაბამისად ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. როგორც გეგმიდან ჩანს, დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა . ვაკანტური ადგილების შესავსებად მიმდინარეობს კანდიდატთა შერჩევის პროცესი, მიმდინარეობს მუშაობა სამსახურეობრივი უფლება-მოვალეობების გამიჯვნაზე არსებული ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრისა და არსებულ შტატებზე დასაქმებულ პირთა ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 2,5 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.***

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 2 მარტის N11/22 ბრძანებით დამტკიცებულია (უკანასკნელი ცვლილება განხორციელებულია 2023 წლის 31 ოქტომბრის N58/23) ,,პროფიუნიტის სტრუქტურის/ პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომლის მიხედვითაც ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის კოორდინატორი. ხარისხის მართვის მენეჯერი ამავდროულად არის დირექტორის მოადგილე, ხოლო ხარისხის მართვის კოორდინატორის პოზიცია ვაკანტურია აპრილის თვიდან. ხარისხის მართვის მენეჯერი არის დირექტორს მოადგილე და ამავდროულად 2024 წლის 12 სექტემბრიდან მინდობილობით ასრულებს დირექტორის მოვალეობას, შესაბამისად ჩართულია ან/და ხელმომწერია დაწესებულებაში ყველა მიმდინარე პროცესებისა. დაწესებულებაში ვიზიტის დროს გადამოწმდა არსებული პრაქტიკა, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში პროცესში მონაწილედ ფიგურირებს ხარისხის მართვის მენეჯერი, მაგალითად გამოცემულია დირექტორის 2022 წლის 15 მარტის N11/22 ბრძანება საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის თაობაზე, სადაც კომისიის თავმჯდომარეა დირექტორის მოადგილე/ხარისხის მართვის მენეჯერი ი.შ. დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებით ირკვევა რომ დაწესებულებას გამოცხადებული აქვს კონკურსი ხარისხის მართვის კოორდინატორის პოზიციაზე, ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა გასაუბრებები შესაბამისი კანდიდატის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესარჩევად. ზემოხსნებულის გათვალისიწინებით, დაწესებულებაში იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი, ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ჩართულია კოლეჯში მიმდინარე პროცესებში და შესაბამისად ვერ შეძლებს ობიექტურად შეაფასოს და შეიმუშაოს განვითარების რეკომენდაციები. *შესაბამისად ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. როგორც გეგმიდან ჩანს, დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა . მიმდინარეობს ხარისხის მართვის კოორდინატორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კანდიდატთა შერჩევის პროცესის ორგანიზება და ასევე, დაწესებულება აქტიურად მუშაობს დირექტორის მოადგილისა და ხარისხის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი უფლება-მოვალეობების გამიჯვნაზე არსებული ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფიუნიტის სტრუქტურის/ პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა და რეგულაცია;
- ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება;
- ბრძანება საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახება;
- გასაუბრებების შედეგები.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №32/20, 02.09.2020წ. დამტკიცებულია შპს პროფიუნიტის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს თანამშრომელების უფლება-მოვალეობებს, სამსახურებრივი ქცევის სტანდარტებს, სამსახურში მიღებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების წესებს, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადენილ მოთხოვნებთან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №23/20, 27.08.2020წ. დამტკიცებულია „შპს პროფიუნიტის პერსონალის მართვის პოლიტიკა და რეგულაცია“, ასევე შპს პროფეიუნიტის შინაგანაწესი, რომლითაც განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულების დადებისას წარსადგენი დოკუმენტები და პირობები. დამსაქმებლის გადაწყვეტილებით კანდიდატთა დასაქმება და მათთან შრომითი ხელშეკრულების დადება ხდება გასაუბრებით, ასევე შესაძლებელია კონკურსის წესით მიღება, რომლის დროსაც შექმნილი საკონკურსო კომისია კონკურსის პროცესს წარმართავს ობიექტურად, გამჭვირვალედ და სამართლიანად. დაწესებულის პრაქტიკა გულისხმობს პერსონალის მიღებას მხოლოდ გასაუბრების საფუძველზე. აღნიშნულ ორ დოკუმენტში დუბლირებულია პერსონალის მიღების, ხელშეკრულების გაფორმების, წარმოსადგენი დოკუმენტაციის, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურები.

დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია მოახდინოს აღნიშნული პროცესების კონსოლიდირება ერთ დოკუმენტში.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

მიმდინარე წარმოებისას ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეამოწმა, როგორც ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები და დაადგინა, რომ დასაქმებულთა კვალიფიკაცია აკმაყოფილებს სამუშაო აღწერილობების დოკუმენტით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით, სტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კოლეჯში ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაზეც მოწმობს შემდეგი გარემოებები - კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფები, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისათვის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი და სხვა.

ექსპერტთა შეფასებით, სტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფიუნიტის სტრუქტურის/ პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა და რეგულაცია;
- დაწესებულების შინაგანაწესი;
- გასაუბრებების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №23/20, 27.08.2020წ. დამტკიცებულია „შპს პროფიუნიტის პერსონალის მართვის პოლიტიკა და რეგულაცია“, დოკუმენტის მერვე პუნქტით განსაზღვრულია პერსონალის საქმიანობის შეფასება, რომლის მიზანია პერსონალის კარიერული განვითარება, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება. ამისთვის დაწესებულება ახდენს პერსონალის კომპეტენციების შეფასებას ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლების ჩართულობით. დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები, ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულებას ამ დრომდე პერსონალის საქმიანობის შეფასება არ განუხორციელებია. აგრეთვე არ ჩატარებულა პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი გამოკითხვა საჭიროებათა დადგენის მიზნით. *შესაბამისად ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: 1. არსებული კითხვარების ფორმების გადამუშავება/განახლება; 2. პერსონალის მართვის პოლიტიკისა და რეგულაციის შესაბამისად პერსონალის საქმიანობის შეფასების განხორციელება შესაბამისი კითხვარებით; 3.პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის გამოკითხვების ჩატარება წინასწარ შემუშავებული კითხვარებით საჭიროებათა დადგენის მიზნით . დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები'', რომლის მიხედვითაც დაწესებულება პერიოდულად ახორციელებს პერსონალის საჭიროებების კვლევას და შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი განვითარების რეკომენდაციების შემუშავებას. დაწესებულებას ამ დრომდე არ განუხორციელებია პერსონალის საჭიროებების კვლევა, შესაბამისად არ აქვს შემუშავებული პერსონალის განვითარების გეგმა, თუმცა დაწესებულებაში ვიზიტისას პსდ-მ წარმოადგინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მტკიცებულებები პერსონალის სხვადასხვა ტრენინგებსა და ვორქშოპებში მონაწილეობის შესახებ. *შესაბამისად ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: 1. პერსონალის საჭიროების კვლევის ჩატარება; 2. კვლევის შედეგების ანალიზი; 3.პერსონალის განვითარების გეგმის შემუშავება. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის*

უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.

3.პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები არიან როგორც დაწესებულების, ასევე ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, რაც დასტურდება პერსონალთა წარმოდგენილი პირადი საქმეებით. დაწესებულების წარმომადგენლების ინტერვიურებით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ექსპერტთა შეფასებით , ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №23/20, 27.08.2020წ. დამტკიცებულია „შპს პროფიუნიტის პერსონალის მართვის პოლიტიკა და რეგულაცია", რომლის მეშვიდე პუნქტით განსაზღვრულია დასაქმებულის ადაპტაცია სამუშაო გარემოში, რომლის მიხედვითაც ახალ თანამშრომელს ადაპტაციის პერიოდში ეხმარებიან უშუალო უფროსი და კოლეგები, რომლებით აცნობენ მის უფლება-მოვალეობებს, სასწავლო გარემოს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის თავისებურებებს, მის საქმიანობასთან დაკავშირებულ მოქმედ აქტებს.

ექსპერტთა შეფასებით , ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.
დაწესებულება პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მიზნით იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმებს, კერძოდ მადლობის გამოცხადება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, წახალისება ფულადი სახით (პრემია). დაწესებულებამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრების დროს წარმოადგინა მტკიცებულებები კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლების სადღესასწაულოდ ფულადი პრემიით (სახელფასო დანამატი) დაჯილდოების და პროფესიულ მასწავლებელთა სახელფასო საათობრივი ანაზღაურების გაზრდის შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით , ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

დაწესებულება განთავსებულია ქ. ჭიათურაში, თხელიძის ქ. №29-ში მდებარე ოთხსართულიანი, რომელიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ 2008 წელს გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობით გადმოეცა შპს პროფიუნიტს. აღნიშნული ასევე დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით, რომლის მიხედვითაც ქ. ჭიათურა, თხელიძის ქ. №29 -ში არსებული ოთხსართულიანი შენობის მესაკუთრეა შპს პროფიუნიტი.
შენობის საერთო ფართია 3570,8 კმ.მ. აღნიშნული შენობის პირველი და მეორე სართული შესაბამისი უძრავ-მოძრავი ქონებით გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნებისთვის, თეორიული სწავლების აუდიტორიები, შესაბამისი ავეჯით, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ადმინისტრაციული სივრცე, დარგობრივი კაბინეტები, ფოიე, არქივისათვის გამოყოფილი სივრცე, ბიბლიოთეკა და სანიტარული კვანძები. დოკუმენტების შესწავლისა და შენობის დათვალიერების შედეგად, **ექსპერტების შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

კოლეჯის დირექტორის 2020წ. 13 ოქტომბრის № 37/20 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების გამოყენების ზოგადი წესი“, რომლის შესაბამისადაც, კოლეჯის ყველა თანამშრომელი და პროფესიული სტუდენტი კოლეჯის საკუთრებასა და სარგებლობაში არსებულ მატერიალურ რესურსს (შენობა-ნაგებობა, აღჭურვილობა (ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა) იყენებს სასწავლო პროცესის სრულყოფილად და ხარისხიანად წარმართვის უზრუნველსაყოფად. ამასთან, კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 15 იანვრის №02/24 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსით. კოლეჯის კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი რეალურად იყენებდენ დაწესებულების ინფრასტრუქტურას, მათ შორის, საერთო სარგებლობის სივრცეებს და მატერიალურ რესურსებს. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 29 დეკემბრის №69/22 ბრძანებით დამტკიცებულია „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი“, რომლის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მთელს პერიმეტრზე სანიტარულ -ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფენ დაწესებულების დამლაგებლები. კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისა და ასევე, მოხდა შენობის დათვალიერების შედეგად, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

კოლეჯის შენობა აღჭურვილია როგორ ცენტრალური გათბობის სისტემით, ასევე ელექტრო გათბობით, რაც დასტურდება ადგილებზე ვიზუალური დათვალიერებითა და კომუნალური გადახდების ქვითრების გადამოწმებით. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

დაწესებულებას შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის და შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვისა და მართვის მიზნით ჰყავს სერტიფიცირებული პირი, რომელთანაც გაფორმებული აქვს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულება მოიცავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის უფლება-მოვალეობებს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისა და დამსაქმებლის ვალდებულებებს. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ვალდებულებას, თავის საქმიანობა წარმართოს ისე, რომ დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები. დაწესებულებას, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“. ინტერვიუს შედეგადაც დადგინდა, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს საჭირო აქტივობები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვის მიზნით. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაცულია.**

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 29 დეკემბრის №70/22 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებლად უზრუნველყოფისა და ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი“, რომლითაც გაწერილია მასალა-ნედლეულით სასწავლო პროცესის მომარაგების წესი და პასუხისმგებელი პირები, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვისა და სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესები. ადმინისტრაციასა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ პროცესი ხორციელდება დაწესებულების დადგენილი წესის შესაბამისად. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 31 აგვისტოს №25/20 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები“ (ცვლილება: კოლეჯის დირექტორის ბრძანება №09/24; 05.03.2024წ.), რომლის შესაბამისადაც, კოლეჯი უზრუნველყოფს ადამიანური, საინფორმაციო, ფინანსური და მატერიალური რესურსების შეფასებას და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური,

ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკას, წესებს, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა რეგულაცია ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვებს. გამოკითხვების ფორმები მოიცავს შესაბამის შეკითხვებს მატერიალური რესურსების საკმარისობის და რელევანტურობის შესახებ. დოკუმენტების შესწავლისა და გასაუბრებების შედეგად, **ექსპერტების შეფასებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

დაწესებულების შენობის მეორე სართულზე მოწყობილია სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის, ადაპტირებულია შშმ სტუდენტებისთვის. თითოეულ სველ წერტილში განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ქაღალდის პირსახოცის დისპანსერი, ასევე ნარჩენებისთვის უკონტაქტო კალათა. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

დაწესებულების ყველა ფართში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფილია ელექტორენერგიის უწყვეტი მიწოდების სისტემით. **ამდენად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

დაწესებულების ყველა სასწავლო და ადმინისტრაციული ფართი უზრუნველყოფილია დამოუკიდებელი შესასვლელით, არ არის ერთმანეთში გამავალი და შესაბამისად არ წარმოადგენს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების განხორციელებისათვის შემაფერხებელ ფაქტორს. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 4 სექტემბრის №08/18 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები“, რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკაში გაწევრიანების წესი, ბიბლიოთეკარისა და მკითხველის უფლებები და მოვალეობები, ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის წესი და ა.შ. ვადები. წესი ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის როგორც ბიბლიოთეკაში ასევე, ვებ გვერდზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა საინვენტარიზაციო ჟურნალი, შერჩევითი პრინციპით შემოწმდა წიგნადი ფონდი და დადგინდა, რომ დაცულია წიგნის დამუშავების საბიბლიოთეკო წესი. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან და აზომვითი ნახაზები;
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმები სტანდარტით გათვალისწინებული სივრცეების ფლობასთან დაკავშირებით;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა
- მატერიალური რესურსის შესყიდვის/გადმოცემის დოკუმენტაცია;
- კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები;
- კოლეჯის დირექტორის 2020წ. 13 ოქტომბრის № 37/20 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების გამოყენების ზოგადი წესი“;
- კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 15 იანვრის №02/24 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 29 დეკემბრის №69/22 ბრძანებით დამტკიცებულია „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი“;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 29 დეკემბრის №70/22 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებლად უზრუნველყოფისა და ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი“;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 31 აგვისტოს №25/20 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები“ (ცვლილება: კოლეჯის დირექტორის ბრძანება №09/24; 05.03.2024წ.);
- პროფესიული სტუდენტების და პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან და მისი პირადი საქმე, სპეციალისტის სერტიფიკატი;
- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 4 სექტემბრის №08/18 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები“;
- ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნი;
- ბიბლიოთეკის კატალოგი;
- პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედეგები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას აქვს შპს „საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრის“ მიერ გაცემული დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევისა და მდგრადობის დადგენის მიზნით, რომლითაც ირკვევა კოლეჯის შენობა მდგრადია და აკმაყოფილებს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს. ამავე დროს დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2020 წლის 28 ოქტომბრის №2549373 და სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ობიექტის, სახანძრო - ტექნიკური შემოწმებების აქტი №93 (28.10.2020წ.), საიდანაც ირკვევა, რომ კოლეჯის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. შენობა 4 სართულიანია და მხოლოდ 2 სართული შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს. *შესაბამისად ,ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის ხელახალი შემოწმებ და შემოწმების შედეგების მიხედვით შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ღონისძიებების დაგეგმვა. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 18 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ (ბრძანება №27/20, 31.08.2020წ) აღნიშნული წესის მეხუთე პუნქტით განსაზღვრულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარი, რომლებიც მათთვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილზე ინახება. თუმცა კოლეჯს უკვე რამდენიმე თვეა აღარ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირთან, შესაბამისად დაწესებულებაში არ მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. *შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: ექთნის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად შერჩევის პროცესის ორგანიზება; ექთანთან ხელშეკრულების გაფორმება, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმის ამოქმედება დაწესებულების მიერ გაწერილი*

პროცედურების შესაბამისად. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 2 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 36/20, 09.10.2020წ, საადაც გაწერილია საგანგებო სიტუაციების მართვის და შტაბის წევრთა ფუნქციური მოვალეობები, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის შეტყობინებების სქემა. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, ნაცვლად კომპეტენტური ორგანოსი/ პირისა. *შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: კომპეტენტური/ შესაბამისი სანებართვო პირობების მქონე ორგანიზაციის მოძიება და შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება. ასევე, აღნიშნული გეგმის შეთანხმება კომპეტენტურ ორგანოსთან. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 12 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 31 აგვისტოს №27/20 ბრძანებით დამტკიცებულია „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“, რომლის შესაბამისადაც, დაწესებულების წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი. ამავე წესით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები. წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად შენობის მთელ შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებულია სათვალთვალო კამერები.

ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს „საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრის“ დასკვნა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2020 წლის 28 ოქტომბრის №2549373 და სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ობიექტის, სახანძრო - ტექნიკური შემოწმებების აქტი №93 (28.10.2020წ.);
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 31 აგვისტოს №27/20 ბრძანებით დამტკიცებული „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის №36/20 ბრძანებით დამტკიცებული „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“;
- ჩატარებული ინსტრუქტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების შედეგი;
- ვიზუალური დათვალიერების და გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

კოლეჯი აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში. იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას. არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოთხოვნილი სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი.
კოლეჯის დირექტორის 2020წ. 13 ოქტომბრის № 37/20 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების გამოყენების ზოგადი წესი“, რომლის შესაბამისად, კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის გამართული მუშაობა და კომუნიკაციების, ინტერნეტ-რესურსების ხელმისაწვდომობა თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის. ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კმაყოფილების კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ კოლეჯში არის პროფესიულ სტუდენტთა განვითარებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა და პროფესიული სტუდენტები შეუფერხებლად სარგებლობენ მისით. კოლეჯში IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებითა და კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გზით.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია,

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

დაწესებულებას საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის მიზნით შემუშავებული აქვს დოკუმენტი „IT რისკების მართვა, საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის პოლიტიკა“ დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება №29/20, 01.09.2020წ. თუმცა დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდამდე არ იყო დასაქმებული IT რისკების მართვაზე პასუხისმგებელი პირი. მასთან ხელშეკრულება გაფორმდა 2024 წლის 1 ოქტომბრიდან, ამდენად, ზემოაღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული პროცესები პრაქტიკაში არ განხორციელებულა. *შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია, რომ დაწესებულებამ უნდა განახორციელოს შემუშავებული IT რისკების მართვის, საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის პოლიტიკით განსაზღვრული პროცესები. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 6 მაისის №08/21 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი“, რომელიც შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მისი მიზანი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას მათი დაცვაა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დაადგინა, რომ კოლეჯში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც, თუმცა დაწესებულებას არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (ძალაშია 2024 წლის 1 მარტიდან), აუცილებელია, რომ ჰყავდეს. *შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია, რომ დაწესებულებამ უნდა განახორციელოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მომსახურებისათვის აუთსორსული მომსახურების განმახორციელებელი ორგანიზაციის მოძიება და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 31 აგვისტოს №25/20 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები“ (ცვლილება: კოლეჯის დირექტორის ბრძანება №09/24; 05.03.2024წ.), რომლის შესაბამისადაც, კოლეჯი უზრუნველყოფს ადამიანური, საინფორმაციო, ფინანსური და მატერიალური რესურსების შეფასებას და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკას, წესებს, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა რეგულაცია ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვებს. გამოკითხვების ფორმები მოიცავს შესაბამის შეკითხვებს IT რესურსების საკმარისობის და რელევანტურობის შესახებ. თუმცა დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდამდე არ იყო დასაქმებული IT სპეციალისტი. მასთან

ხელშეკრულება გაფორმდა 2024 წლის 1 ოქტომბრიდან, ამდენად, IT ტექნიკის, პროცესების გამართულობა პრაქტიკაში ექსპერტთა ვიზიტამდე არ განხორციელებულა.*შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია, რომ დაწესებულებამ უნდა განახორციელოს პრობლემური ტექნიკის და პროცესების იდენტიფიცირება, სისტემური პროცესების პრობლემების იდენტიფიცირება, ტექნიკური და სისტემური გამართულობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების განხორციელება. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 4 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

კოლეჯის დირექტორის 2020წ. 13 ოქტომბრის № 37/20 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების გამოყენების ზოგადი წესი", რომლის შესაბამისადაც, კოლეჯის ყველა თანამშრომელი და პროფესიული სტუდენტი კოლეჯის საკუთრებასა და სარგებლობაში არსებულ მატერიალურ რესურსს (შენობა-ნაგებობა, აღჭურვილობა (ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა) იყენებს სასწავლო პროცესის სრულყოფილად და ხარისხიანად წარმართვის უზრუნველსაყოფად. ამასთან, კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 15 იანვრის №02/24 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსით. კოლეჯის კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი რეალურად იყენებენ დაწესებულების ინფრასტრუქტურას, მათ შორის, საერთო სარგებლობის სივრცეებს და მატერიალურ რესურსებს. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორი 5.1.1.2. -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 1 სექტემბრის №29/20 ბრძანებით დამტკიცებულია „IT რისკების მართვა, საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის პოლიტიკა", რომლის შესაბამისადაც კოლეჯი საინფორმაციო პლატფორმების საშუალებით (Gmail, Teams და Facebook) უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ერთიან საკომუნიკაციო სივრცეს. კოლეჯის კურსდამთავრებულებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2020წ. 13 ოქტომბრის № 37/20 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების გამოყენების ზოგადი წესი“;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 1 სექტემბრის №29/20 ბრძანებით დამტკიცებულია „IT რისკების მართვა, საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის პოლიტიკა“;
- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 6 მაისის №08/21 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი“;
- კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- გასაუბრება.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2024 წლის 12 იანვრის №01/24 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულებაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებზე მუშაობის წესს. წესის დაცვა სავალდებულოა დაწესებულების ყველა თანამშრომლისათვის. საქმისწარმოების წესი არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს, ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემას, დოკუმენტების მოძრაობას მათი მიღების ან შექმნის მომენტიდან საბოლოო შესრულებამდე, გაგზავნამდე ან საქმეში მოთავსებამდე. კოლეჯის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დებულებები არაა წინააღმდეგობაში საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ დებულებებთან.

საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად ხდება გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, დაწესებულებას აქვს საკანცელარიო ჟურნალები, სადაც წარმოებს გამოცემული აქტებისა და შემოსული და გასული კორესპონდენციის, ხელშეკრულებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღრიცხვა, რეგისტრაციის ჟურნალები ზონარგაყრილი, გადანომრილი და დალუქული შესაბამისი წესით, ბრძანებები და ხელშეკრულებები რეგისტრაციის ჟურნალებში გატარებულია.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.

კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის საშუალებით, შესაბამისი პროგრამის - „eflow"-ის მეშვეობით. ელექტრონული საქმისწარმოება გულისხმობს დოკუმენტის მიღებას, დამუშავებას, რეგისტრაციას, მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას, ადრესატისათვის დაუყოვნებლივ გადაგზავნას და შენახვას.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

დაწესებულება ჩართულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და ახორციელებს მასში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა მისი შევსების სისრულე. ასევე მოხდა გასაუბრება რეესტრზე პასუხისმგებელ პირთან. ასევე ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება ენახათ რეესტრის მონაცემები, შედეგად დადასტურება, რომ დაწესებულება რეალურად ახდენს რეესტრის სწორად წარმოებას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია,

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დაწესებულება თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან (განათლების სამინისტრო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და სხვ.) და დროულად აწვდის ინფორმაციას, ანგარიშებს და უკუკავშირს, რაც დასტურდება მათ მიერ მიღებული დავალებებისა და გაგზავნილი პასუხების საფუძველზე. შემოსულ კორესპონდენციაზე პასუხისმგებლობა ენიჭება საქმისმწარმოებელს, რომელსაც მოეთხოვება გონივრულ ვადებში შემოსული დოკუმენტაციის მიწოდება შესაბამისი პირებისათვის. ექსპერტების მიერ გასაუბრება შედგა კომპეტენტურ პირთან, რითიც დასტურდება ყოველივე ზემოაღნიშნული.
ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 12 იანვრის №01/24 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი;
- პროფესიული განათლების მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის - რეესტრის კოორდინატორის სამუშაო აღწერილობა და გაფორმებული ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია;
- პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს
   ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდია: www.profiuniti.edu.ge და სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100054407282059. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია, დაწესებულების საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტები, ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ და ა.შ. ვებგვერდს, ისევე, როგორც დაწესებულების ფეისბუქ გვერდს, გააჩნია როგორც საინფორმაციო, ასევე საკომუნიკაციო ფუნქცია. ვებგვერდის მართვა დირექტორის ბრძანებით დავალებული აქვს მდივან-რეფერენტს. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის ნაწილი გასაახლებელია, მაგალითად, მარეგულირებელი აქტები. ***ამდენად, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, პერიოდულად განაახლოს ვებგვერდზე არსებული სიახლეები და მარეგულირებელი დოკუმენტები.***

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

დაწესებულებას არ აქვს უცხოენოვანი ვებ გვერდი, რადგან არ ახორციელებს და უახლოეს პერიოდში არც გეგმავს უცხოენოვანი პროგრამების დამატებას, შესაბამისად არც მისიის განაცხადში არ აქვს განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და
   უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის და სხვა არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 1 სექტემბრის №28/20 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“, რომლის შესაბამისადაც, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები.
ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

კატალოგი ინფორმატიულია და მოიცავს შემდეგ საკითხებს - დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები, დაწესებულების ისტორია და სხვა საინტერესო საკითხები პოტენციური და მოქმედი სტუდენტებისთვის.
პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად დაწესებულება სისტემატიურად აახლებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს და ვებ გვერდზე განთავსებულია კატალოგების არქივი 2013 წლიდან 2024/2025 წლის ჩათვლით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 1 სექტემბრის №28/20 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის“ შესაბამისად, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულება საზოგადოების, პროფესიული სტუდენტების, პოტენციური სტუდენტების, კურდამთავრებულების, დამსაქმებლების მხრიდან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად და საჭიროების შემთხვევაში ახდენს შესაბამის რეაგირებას.
აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდია: www.profiuniti.edu.ge;
- სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100054407282059;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 1 სექტემბრის №28/20 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2024/2025
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი 2013 წლიდან;
- გასაუბრებები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, დაწესებულების შემოსავლები უზრუნველყოფილია ვაუჩერული დაფინანსებით და საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურით. დაწესებულება ახორციელდებს 3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ასევე მოკლევადიანი მომზადების/გადამზადების პროგრამებს სამთო მიმართულებით. აღნიშნული პროგრამების დასახელებულია პრიორიტეტულად და სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. გარდა ამისა, დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის დადგენილი აქვს დამატებითი საფასური. ის პროფესიული სტუდენტები, რომლებიც დასაქმებულნი არიან ,,გორგიან მანგანეზში“ ფინანსდებიან კომპანიის მიერ .სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშიდან ჩანს, რომ დაწესებულებას აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსი სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების განსახორციელებლად, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს კოლეჯის ყოფილ ბუღალტერთან, რომელსაც წვდომა ჰქონდა კოლეჯის საბუღალტრო პროგრამასთან, კომუნიკაცია ვერ მოხერხდა, ვერ იქნა წარმოდგენილი დაწესებულების საფინანსო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაცია. ამდენად, ექსპერტები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, შეესწავლათ დაწესებულების ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა. *შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია, რომ კოლეჯში მიმდინარე წლის 23 სექტემბრიდან დასაქმებულმა ბუღალტერმა შეადგინოს დაწესებულების ბიუჯეტი, რითაც დადასტურდება დაწესებულების ფინანსური მდგრადობა. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, დაწესებულების შემოსავლები უზრუნველყოფილია ვაუჩერული დაფინანსებით და საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურით. დაწესებულება ახორციელდებს 3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ასევე მოკლევადიანი მომზადების/გადამზადების პროგრამებს სამთო მიმართულებით. აღნიშნული პროგრამების დასახელებულია პრიორიტეტულად და სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. გარდა ამისა, დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის დადგენილი აქვს დამატებითი საფასური. ის პროფესიული სტუდენტები, რომლებიც დასაქმებულნი არიან „გორგიან მანგანეზში" ფინანსდებიან კომპანიის მიერ. სავარაუდოა, რომ საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. ვიზიტის დროს, დაწესებულებას 1 თვის წინ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება ბუღალტერთან, რომელსაც არ ჰქონდა წვდომა საბუღალტრო დოკუმენტაციასთან და შესაბამის პროგრამასთან შესაბაისად საფინანსო დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი, ექსპერტები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, შეესწავლათ დაწესებულების ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა. *შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია, რომ კოლეჯში მიმდინარე წლის 23 სექტემბრიდან დასაქმებულმა ბუღალტერმა შეადგინოს დაწესებულების ბიუჯეტი, რითაც დადასტურდება დაწესებულების ფინანსური მდგრადობა. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა ფინანსური დოკუმენტაცია, **ამდენად,** *ექსპერტები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, შეესწავლათ დაწესებულების ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა და მისი შეფასება. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობების განხორციელება: 1. დაწესებულების საბუღალტრო პროგრამის აღდგენა და ახალი ბუღალტრისათვის პროგრამაზე წვდომის დაშვება; 2. დაწესებულების არსებული (წინა წლების) ბიუჯეტის შესახებ პროგრამული მონაცემების დამუშავება/აღდგენა. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 6 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.*

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დაწესებულების მიერ ვებგვერდზე განთავსებულია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები და სამოქმედო გეგმები. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განმარტებით ისინი ანალიზს უკეთებენ ყოველწლიურ ანგარიშებს, აფასებენ საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობებს და მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად გეგმავენ შემდეგი წლის აქტივობებს.
ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
- 2019-2020 წ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში
- 2020-2021 წ. სამოქმედო გეგმა
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	სამთო ტექნიკოსი
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამთო საქმეში/ Basic Vocational Qualification in Mining
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0724
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ჭიათურა, გ. თხელიძის ქ. №29
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	60 -კოოპერაციული
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

შპს კოლეჯის პროფიუნიტი მდებარეობს ქ. ჭიათურაში და არის ერთადერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამთო მიმართულების პროგრამებს. დაწესებულების მისიიდან იკვეთება, რომ ის არის მონოპროფილური კოლეჯი და ახორციელებს პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებს რეგიონის მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ რეგიონში მდებარეობს მანგანუმის მადნის მომპოვებელი კომპანია „ჯორჯიან მანგანეზი“ ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატი, რომლიდანაც არსებობს მოთხოვნა პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების მქონე კადრებზე. სამთო ტექნიკოსის პროგრამას დაწესებულება ახორციელებს 2019 წლიდან. პროგრამაზე მოთხოვნა მაღალია როგორც დამსაქმებლის, ასევე დაინტერესებული პირების მხრიდანაც. მიმდინარე წელს დაწესებულებას გამოცხადებული ჰქონდა მიღება 60 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო vet.emis.ge-ს სტატისტიკის მიხედვით რეგისტრაცია გაიარა 85 -მა აპლიკანტმა.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობები და კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული პროცედურები. დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამთო ტექნიკოსი" დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, რაც შესაბამისობაშია შესაბამისია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობისა. დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები კი განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის მიერ 2023 წლის 29 დეკემბრის N77/23 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 15.01.2024 N02/24) დამტკიცებულ რეგულაციაში „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას: დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას, რეგისტრაციას, შერჩევას, საკონკურსო კომისიის ჩამოყალიბებას, აპლიკანტთა შიდა ტესტირებას და სხვა. დოკუმენტი ეფუძნება/ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №42/ნ ბრძანებას „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ". ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითიც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან ისეთი პირები, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი" რომელიც დამტკიცებულია შპს ,,პროფიუნიტის" დირექტორის 2020 წლის 01 სექტემბერის N31/20 ბრძანებით, კერძოდ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ გეგმას ამზადებს შპს ,,პროფიუნიტის" დირექტორის მოადგილე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები: ა) პროფესიული პროგრამის განხორციელების სპეციფიკა; ბ) სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა და კვირეული საკონტაქტო დატვირთვა; გ) A, B და C გარემოების გამტარუნარიანობა და ცვლაში გამოყენების შესაძლებლობა; დ) ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა; ე) პრაქტიკის მოდულის განსახორციელებლად შესაბამისი საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა; ვ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი, მიმდინარე წელს მისაღები სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსის საკმარისობა და შესაბამისობა. დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ განსაზღვრული რესურსებით სრულად მიიღწევა პროგრამით დაგეგმილი ყველა სწავლის შედეგი.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

პროგრამას აქვს ოთხი სავალდებულო არჩევითი მოდული (1. ტექნიკური დოკუმენტაცია და გრაფიკული მასალები, 2. გვირაბის სამაგრი მკონსტრუქციები, 3. ასაფეთქებელი საშუალებების და ობიექტის ასაფეთქებლად მომზადება, 4. ასაფეთქებელი ქსელების მონტაჟი) რომლებიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის დირექტორის მიერ, 2019 წლის 18 მარტის #09/19 ბრძანებით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

„სამთო ტექნიკოსის“ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი „სამთო საქმე“ / Mining, სარეგისტრაციო ნომერი 07315-პ.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამთო ტექნიკოსი;
- პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია.
ძირითადი პროფესიული 7 მოდულიდან მხოლოდ ერთი (შრომის უსაფრთხოება სამთო საწარმოებში) ხორციელდება A გარემოში ხოლო, დანარჩენი 6 მოდული A / C გარემოში . არჩევითი 4 მოდულიდან - 3 მოდული ხორციელდება A გარემოში, ხოლო ერთი (გვირაბების სამაგრი კონსტრუქციები) A და C გარემოში ერთად.
A გარემო - სასწავლო აუდიტორია №2.4 - 50კვ.მ ფართი, 30 პროფესიული სტუდენტისათვის, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი), პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის). დემონსტრირების ციფრული საშუალებით და დაფით.
B გარემო - კომპიუტერული კლასი - (ოთახი №2.5) 44 კვ.მ ფართი, სადაც განთავსებულია 15 პერსონალური კომპიუტერი, რომელიც სრულადაა აღჭურვილი მოდულის „ინფორმაციული წიგნიერება-1“ განსახორციელებლად. B სასწავლო გარემოს შემთხვევაში ფართის მონაცემებთან ერთად მხედველობაში მიიღება ორ სტუდენტზე 1 პერსონალური კომპიუტერის არსებობა. B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა გამტარუნარიანობისათვის იფუნქციონირებს 2 ქვეჯგუფი ერთი პროგრამის ფარგლებში შესაბამისად B სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობა უზრუნველყოფილია.
სამთო ტექნოლოგიის კაბინეტები - (ოთახები ##1.1., 1.2), 25 კვ.მ ფართი, 24 პროფესიული სტუდენტისათვის, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი), პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი) და ცენტრალური ფეთქითი საწყობის მაკეტით, ფეთქითი სამუშაოების ჩატარების იმიტაციისათვის საჭირო თვალსაჩინოებით, გვირაბის სამაგრი კონსტრუქციების მაკეტებით, მაღაროს ველის განიავების სქემებით, სანგრევის საიმიტაციო მულაჟით, საფლოტაციო ფაბრიკის მაკეტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

C გარემო - შპს „მაღაროელის“ 2 მაღარო და 9 მიწისქვეშა მომპოვებელი უბანი, თითოეულ უბანში შედის წმენდითი სანგრევი, სხვადასხვა ტიპის დანადგარები: საბურღი, კონვეიერი, ელექტროგამშვები აპარატურა, ადგილობრივი განიავების ვენტილატორები და ყველა ის მასალა-დანადგარი რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის მატერიალური რესურსით. თითოეული უბნის ფართი და ადამიანური რესურსი საკმარისია იმისათვის, რომ პროფესიულმა სტუდენტმა სრულყოფილად აითვისოს მოდულში მითითებული პრაქტიკული კომპონენტი.

საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად დაწესებულება წერილობით მიმართავს **შპს „მაღაროელის“** 3 პროფესიულ სტუდენტზე თითო ინსტრუქტორის გამოყოფის შესახებ. საპასუხოდ წარმოება დაწესებულებასთან შეთანხმებით გამოყოფს ინსტრუქტორებს და პრაქტიკული ნაწილის გავლისათვის შესაბამის ობიექტებს. ინსტრუქტორები დაწესებულებაში გადიან ტრეინინგებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასა და დაკვირვების საკითხებში.

დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება შპს „მაღაროელთან“ რომელმაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების იმ პრაქტიკული კომპონენტების სწავლებას და შეფასებას რომელიც განსაზღვრულია სასწავლო გეგმით მთელი პროგრამის განმავლობაში.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

„სამთო ტექნიკოსის“ პროგრამისთვის განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია - 3 სამი + 1 (ერთი) ქართული ენის მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 7 (შვიდი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და სასწავლო გეგმის თანახმად, მათი საათობრივი კვირეული დატვირთვა, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

დაწესებულება შემუშავებული აქვს „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, სადაც გაწერილია პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სამთო ტექნიკოსი“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა განმახორციელებლების პირადი საქმეები, კვალიფიკაცია, დატვირთვები და ასევე მათი ჩართულობა კოლეჯის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია აღნიშნული კომპეტენციები მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უდასტურდებათ შესაბამისი კვალიფიკაციით და/ან მრავალწლიანი პროფესიული/ პედაგოგიური გამოცდილებით და/ან გავლილი ტრენინგებით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ფუნქციები.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან და შეამოწმეს მისი პირადი საქმე. პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტებთან გასაუბრებისას განაცხადა, რომ იგი ჩართული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-ადაპტირებაში და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს, იღებს მონაწილეობას პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. ასევე მას აქვს მოდულური პროგრამით სწავლების გამოცდილება, იცნობს მოდულის სპეციფიკას (ზოგადი, სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერები),

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი მატერიალური სახით ხელმისაწვდომია დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო, ზოგადი და არჩევით მოდულებში მითითებული ლიტერატურა. ყველა სასწავლო რესურსი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში ნაწილი ბეჭდური სახით, ხოლო ნაწილი - ელექტრონულ მატარებელზე.

მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. დაწესებულებას ყავს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის/გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც ხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სამთო ტექნიკოსი“ შემუშავებული აქვს ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილებს. ბიუჯეტით გაანგარიშებული პროგრამის რენტაბელობის ზღვარი დათვლილია 46 პროფესიულ სტუდენტზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, პროგრამა განფასებულია 3 267 ლარად. გარდა ამისა, დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის დადგენილი აქვს დამატებითი საფასური 1125 ლარის ოდენობით. ის პროფესიული სტუდენტები, რომლებიც დასაქმებულნი არიან ,,გორგიან მანგანეზში“ ფინანსდებიან კომპანიის მიერ. ბიუჯეტის მიხედვით, ძირითად ხარჯს წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინსტრუქტორთა ანაზღაურება, ასევე სასწავლო ხარჯები.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები).

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი ,,სამთო ტექნიკოსი“;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენ ელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- განმახორციელებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა ადამიანური რესურსის შესახებ;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა მატერიალური რესურსების შესახებ;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1-2. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც აგებულია დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე/გადახედე/გაუმჯობესე ციკლის მიხედვით და გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროების და კმაყოფილების კვლევას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევას. ასევე, აღნიშნული წესი ითვალისწინებს არსებული გამოკითხვების/კვლევების და საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებას/მოდიფიცირებას დადგენილი პროცედურის შესაბამისად. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს წარუდგინეს 2022-2023 წლებში ჩატარებული პროფესიული სტუდენტების საჭიროების და კმაყოფილების, ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევები, სადაც აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია, გაანალიზებულია შედეგები, და გაცემულია რეკომენდაციები. აღნიშნული კვლევის შედეგად პროგრამის გაუმჯობესების საჭიროება არ გამოკვეთილა.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორების მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პროფესიული სტუდენტების საჭიროების და კმაყოფილების კვლევა (2022 წელი, 2023); 4. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა (2022 წელი, 2023 წელი);
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად**

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის „სამთო ტექნიკოსი“ სასწავლო გეგმებისა და სასწავლო ცხრილების შესაბამისობა . პროფესიული საგანმანათლებლო პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

კოლეჯის მიერ შემუშავებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების კომპონენტი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები. კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო გეგმები პროგრამის კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობითაა შედგენილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ცხრილის შეცვლა და პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება. დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკაა პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ორგანიზება, ვინაიდან, პროფესიული სტუდენტების უმეტესობა ან მუშაობს საწარმოში, ან პრაქტიკული კომპონენტის გავლა უწევს სხვადასხვა ცვლაში, ამიტომ პროფესიული სტუდენტის საჭიროებებზე დროულად და ოპერატიულად ხდება რეაგირება.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური თვალსაჩინოებები (მაკეტების), თანამედროვე მასალები და მეთოდები. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დგინდება, რომ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულებში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

პოფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების დადასტურება ხდება როგორც დაწესებულებაში (თეორიული ნაწილი) ასევე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ორგანიზაციაში და იმის მიხედვით, რომ პროფესიულ სტუდენტებს სხვადასვა დროს უწევთ ამა თუ იმ აქტივობის გავლა, ყოველთვის ხდება მათზე მორგებულ დროს შედეგების დადასტურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „მაღაროელთან“, სადაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების პრაქტიკული კომპონენტი. კომპანიის ბაზაზე ხორციელდება შემდეგი მოდულები:

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

1. ასაფეთქებელი ქსელების მონტაჟი - 3,4 სწავლის შედეგი;
2. სამთო საქმის საფუძვლები - 2,3,4 სწავლის შედეგები;
3. წმენდითი და გვირაბგასაყვანი სამუშაოების ორგანიზება -2,3.4,5 სწავლის შედეგები;
4. გვირაბების გაყვანის ორგანიზება- 2,3,4 სწავლის შედეგები;
5. სამთო საწარმოთა აეროლოგია -3,4,5 სწავლის შედეგები;
6. გვირაბების სამაგრი კონსტრუქციები - 2,3,4 სწავლის შედეგები;
7. ასაფეთქებელი საშუალებების და ობიექტების ასაფეთქებლად მომზადება -2,3,4,5 სწავლის შედეგები;
8. წიაღისეულის მიწისქვეშა დამუშავება -4,5,6,7,8,9 სწავლის შედეგები;
9. შრომის უსაფრთხოება სამთო საწარმოებში -2,3,4,5სწავლის შედეგები;
10. სამთო მანქანების, მოწყობილობებისა და კომპლექსების რემონტი-2,3,4,5,6,7 სწავლის შედეგები;
11. ტექნიკური დოკუმენტაცია და გრაფიკული მასალები 1,3,4,5 სწავლის შედეგები;
12. პრაქტიკული პროექტი სამთო ტექნიკოსებისთვის -2,3 სწავლის შედეგები;

ხელშეკრულებით დაზუსტებულია პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა 60, საწარმოში პრაქტიკული ომპონენტის განხორციელებისას 3 პროფესიულ სტუდენტზე მიმაგრებულია 1 ინსტრუქტორი.. კომპანია ხელშეკრულებით იღებს ვალდებულებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის ინსტრუქტორი და დაიცვას შრომის უსაფრთხოების ნორმები.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებაში შემუშავებულია ,, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა’ , რომლის მიხედვითად დაწესებულების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი პერიოდულად ატარებს ინსტრუქტაჟებს უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, რაც შეეხება პრაქტიკულ ნაწილს, შპს ,,მაღაროელი“ იღებს პასუხისმგებლობას დაიცვას უსაფრთხოების ნორმები ობიექტზე. დაწესებულებაში ვიზიტისას ადგილზე გადამოწმდა ინსტრუქტაჟების ჩატარების ფაქტი, კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ მათ პერიოდულად უტარდებათ სწავლება, რაც ასახულია ინსტრუქტაჟების ჟურნალებშიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები).

- პროგრამის ,,სამთო ტექნიკოსი“ პაკეტი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- გაფორმებული ხელშეკრულება შპს,, მაღაროელთან“
- ინსტრუქტაჟების ჟურნალი;
- გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. მე-4 მუხლში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტში სავალდებულო ინფორმაცია და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები. დაწესებულების მხრიდან არასწორად არის გაგებული შეფასების პროცესის ადმინისტრირება, როგორც ტერმინები, ასევე პროცესი. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა არ ითვალისწინებს ვალიდაციას. მეთოდოლოგიაში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, ნაცვლად ვალიდაციისა. ვალიდატორის ნაცვლად ფიქსირდება ვერიფიკატორი.
გარდა ამისა, იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. შეფასების ინსტრუმენტს ითანხმებს ხარისხის მართვის მენეჯერი. დაწესბულებაში ვიზიტისას გადამოწმდა შეფასების ინსტურმენტები და მტკიცებულებები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არც ერთი შეფასების ინსტრუმენტი არ არის ვალიდური, შიდა დარგის ვერიფიკატორად განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელი. შეფასების ინსტრუმენტში არ არის შეფასების შედეგებისათვის გამოყოფილი გრაფა. შეფასების მტკიცებულებების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მტკიცებულებები თეორიული კომპონენტის შემთხვევაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ტესტების სახით შეფასების ინსტრუმენტის ფორმის გარეშე. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში ვიზიტისას არსებული შეფასების სისტემა არ იყო ვალიდური. შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხვონა დაკმაყოფილებული არ იყო.** ***შესაბამისად, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: 1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გათვალისწინებულ შეფასების პროცესში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება; 2. შეფასების პროცესის სწორად ადმინისტრირება; 3.შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია; 4. ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება შეფასების პროცესში; 5.შეფასების ინსტრუმენტის გადამუშავება; 6. შეფასების ინსტრუმენტის შეთანხმების პროცესში არსებული ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრა. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 1 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.***

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულების ,,ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციების“ მიხედვით გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია. ვერიფიკაციის პროცესს წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები საჭიროების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, რომლის მიხედვითაც კოლეჯი ვერიფიკაციას უნდა ახორციელებდესს სამი მიმართულებით - შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. აღნიშნულ წესში ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 2024 წლის 5 მარტის N09/24 ბრძანებით, სადაც ვერიფიკაციის პროცესი გაწერილია სწორად, თუმცა დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა ხარისხის მართვის მენეჯერის ვერიფიკაციის დასკვნა, სადაც მოკლედ, ნარატიულად არის აღწერილი რომ შეფასება ჩატარდა განსაზღვრულ დროს, მოხდა პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება, წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი იყო შესაფასებლად. დაწესებულების მიერ ჩატარებული ვერიფიკაცია არ არის შესაბამისობაში კოლეჯის მიერ გაწერილ მეთოდოლოგიასთან. ვერიფიკაციის პროცესის მომზადებისას არ არის გაწერილი გეგმა, თითოეული პროგრამის ფარგლებში შერჩეულია ერთი მოდული, თუმცა არ არის განსაზღვრული რისკ ფაქტორები რის მიხედვით შეირჩა აღნიშნული მოდულები. ვერიფიკაციის დასკვნა არ მოიცავს შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციას. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში ვიზიტისას ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.** ***დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: 1. ვერიფიკაციის განხორციელება დაწესებულებაში არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად; 2. ვერიფიკაციის პროცესის მომზადების გეგმის შედგენა; 3.მოდულის შერჩევისას რისკ ფაქტორების გათვალისწინება; 4. ვერიფიკაციის***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასკვნის სრულყოფა. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 1 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები უვადოდ.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, მოდულები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ,,ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაცია ;
- შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები; შეფასების უწყისები;
- პრაქტიკის შეფასების ფურცლები;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და კურსდამთავრებულებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

03.12.2024წ

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: